სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავჯმდომარის

გადაწყვეტილება №012/18

ქ.თბილისი, 13 აგვისტო, 2018 წელი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

საპროცესო კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 13 აგვისტოს მეხუთე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ ია გაბედავამ მოხსენებითი ბარათით მომართა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მიხედვითაც თვითაცილების გამო ვერ მიიღებს მონაწილეობას დისციპლინური საქმეების №107/18 და 108/18-ის საპროცესო წესით განხილვაში.

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის თხოვნით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საქმის განხილვისას კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით №107/18 და 108/18 საქმის განხილვისას ალტერნატიულ წევრად დაინიშნოს თორნიკე ბაქრაძე.

ვიხელმძღვანელე რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, საპროცესო კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე ბაქრაძე დაინიშნოს მეხუთე დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრად დისციპლინური საქმეების №107/18 და 108/18 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

თორნიკე ბაქრაძე

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე